დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2018 წლის 16 ივლისი

ქ. დმანისი

“დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ” დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება “დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ” დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/03/2011; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 020080000.35.156.016044) და პირველი და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებულ იქნეს ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის ”43^1, 43^2, 51^3, 53^3, 55, 55^2, 55^3, 77^1, 77^2, 103, 119^1, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილი, 145, 146^1, 148, 150-151, 151^2, 152, 152^2, 153^4, 159, 159^1 მუხლები.

9. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1, 77^2, 103, 119^1, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 145, 146^1, 148, 150, 150-151, 151^2, 152, 152^2, 153^4, 159 და 159^1 მუხლებით და საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლება მიენიჭოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

მუხლი 2.

ამოღებულ იქნეს დადგენილების მე-10 და მე-11 პუნქტები.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



დმანისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი